

# ბიზნეს სუბიექტები... 2016 (3)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის მარტის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 909 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 95.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 4.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 1.122 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. მარტის თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (16.0%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (9.9%-ით) შედარებით.

2016 წლის მარტის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 15.3%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 31.7%-ით გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის ზრდა 8.7%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის ზრდა 41.8%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 1.098 და 1.898 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. მარტის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 505 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 51.0%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (2 010 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 40.9%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 92.0% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 237 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 116 კოოპერატივი, 28 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 7 სააქციო საზოგადოება, 3 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 2 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ა. წ. მარტის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... მარტი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... მარტი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა  
მარტი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	მარტი	
		2015	2016
<b>რაოდენობა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	4295	4668
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	170	241
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4465	4909
<b>სტრუქტურა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.2	95.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.8	4.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	7.4	15.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	27.8	31.7
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	8.1	16.0
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-6.1	8.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	14.9	41.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-5.5	9.9
<b>ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.011	1.098
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.339	1.898
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	1.020	1.122
<b>რაოდენობა</b>			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2442	2505
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	2
კოოპერატივი	ერთეული	150	116
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1690	2010
სააქციო საზოგადოება	ერთეული	4	7
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	9	28
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	168	237
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	2	3
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	1

**(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. მარტი, 2016**

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა		პროცენტი
		მარტი 2016	მარტი 2015	თებერვალი 2016
1	ქალაქი თბილისი	1957	19.5	16.4
2	ქალაქი ბათუმი	302	25.3	14.8
3	ქალაქი ქუთაისი	220	1.9	-3.1
4	ქალაქი რუსთავი	151	9.4	29.1
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	126	113.6	22.3
6	გორის მუნიციპალიტეტი	116	13.7	10.5
7	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	111	-12.6	11.0
8	თელავის მუნიციპალიტეტი	96	20.0	54.8
9	მარნეულის მუნიციპალიტეტი	90	2.3	4.7
10	ხაშურის მუნიციპალიტეტი	71	31.5	29.1

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

